მატჩი დნეპროპეტროვსკში

”დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) – ”დინამო” (თბილისი) 0:0.

დნეპროპეტროვსკი. ”მეტეორის” სტადიონი. 12 მაისი.

”დნეპრი”: კონსევიჩი, კობზარევი (შურშინი), დილაი, ზუევი, ლისენკო, დამინი, ოლენევი, შარდიკინი, უსტიმჩიკი, პოგორელოვი, ტიმოფეევი (ლიუტი).

”დინამო”: იმნაძე, კოსტავა (ანდღულაძე), ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, კაკილაშვილი, ჟვანია, ცავა, ჩელებაძე (ჯოხაძე).

მსაჯი: კ. დორონინი (მოსკოვი).

მაყურებლები - 31.500

დუბლიორები - 0:0.

როგორც შემადგენლობიდან ჩანს, თბილისის დინამოელებს კვლავ აკლდა წამყვან ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი, რომელთა ნაცვლად მინდორზე გამოვიდნენ ახალგაზრდები, გუშინდელი დუბლიორები და, უნდა ითქვას, მეტოქის მინდორზე მათ მონდომებულად, საკმაოდ კვალიფიციურად ითამაშეს, არ მისცეს საშუალება მეტოქეს მათთვის თავს მოეხვია საკუთარი ნება-სურვილი. დამაჯერებლად იცავდა კარს იმნაძე.

იმ მომენტებშიც კი, როცა უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, განსაკუთრებით მატჩის პირველ წუთებში, დინამოელთა დაცვა კარგად მოქმედებდა და წარმატებით ართმევდა თავს სირთულეებს.

”დნეპრის” პირველი იერიშების შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ დინამოელები, მასპინძელთა კარი რამდენჯერმე აღმოჩნდა აშკარა ხიფათის წინაშე. მეკარე კონსევიჩმა მხოლოდ ბოლო მომენტში, დიდი გაჭირვებით შეძლო დარასელიას შორეული დარტყმის მოგერიება, შემდეგ ძელს მოახვედრა ბურთი ჟვანიამ.

შესვენების შემდეგ თბილისელთა აქტიურობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. ისინი ბევრს უტევდნენ, მეტოქის კართან ხშირად გადიოდნენ მცველებიც, კერძოდ, ჩივაძე.

90 წუთის მანძილზე ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მოპოვება - 0:0.

”ლელო”, 15 მაისი, 1982 წ.